**დანართი**

**ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს წესი არეგულირებს ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (შემდეგში – სკოლა) სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის (შემდეგში – მაკეტი) რეცენზირების წესსა და პროცედურებს.

2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით (შემდეგში - გრიფირების წესი) განსაზღვრული მნიშვნელობა.

**მუხლი 2. რეცენზენტობის კანდიდატების შერჩევა**

1. რეცენზენტობის, მათ შორის, სარეზერვო (სათადარიგო) კანდიდატების შერჩევასა და მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (შემდეგში - სამინისტრო) შეთანხმებით, ახორციელებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში - მართვის სისტემა).

2. რეცენზენტობის კანდიდატის მიერ შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შეუძლებლობის (მაგალითად, კანდიდატის უარი, ინტერესთა კონფლიქტის არსებობა და ა.შ.) ან არსებული შრომითი ურთიერთობის გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მართვის სისტემა უფლებამოსილია რეცენზენტობის კანდიდატი/რეცენზენტი ჩაანაცვლოს ახალი კანდიდატით სარეზერვო (სათადარიგო) სიიდან.

**მუხლი 3. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი**

1. მაკეტის რეცენზირებას, ამ წესისა და გრიფირების წესის შესაბამისად, ახორციელებს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი, რომლის შემადგენლობას, მართვის სისტემის მიერ წარმოდგენილი რეცენზენტობის კანდიდატურების საფუძველზე სარეზერვო სიასთან ერთად. განსაზღვრავს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით,

2. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს შინაარსობრივ რეცენზირებას, შეიძლება შედგებოდეს:

ა) მასწავლებლისგან;

ბ) დარგის მეცნიერისგან;

გ) ფილოლოგისგან (ქართული ენის);

დ) ფსიქოლოგისაგან;

ე) სხვა სპეციალისტისგან.

3. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს ტექნიკურ რეცენზირებას შეიძლება შედგებოდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტის/სპეციალისტებისაგან.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფში შემავალი რეცენზენტი მართვის სისტემის მიერ განსაზღვრულ დროში ვერ უზრუნველყოფს მისთვის გადაცემული სახელმძღვანელოს/სერიის ყველა ალტერნატიული მაკეტის რეცენზირებას, მართვის სისტემა უფლებამოსილია შრომითი ხელშეკრულება გაუფორმოს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული

კატეგორიის ერთზე მეტ რეცენზენტობის კანდიდატს სარეზერვო (სათადარიგო) სიიდან ან რეცენზენტს - შესაბამისი საგნობრივი ჯგუფიდან.

**მუხლი 4. გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა**

1. რეცენზირების პროცესი წარმოებს ელექტრონულად, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის - www.grifireba.emis.ge (შემდეგში - ელექტრონული სისტემა) გამოყენებით.
2. რეცენზენტის ელექტრონულ სისტემასთან მომხმარებლის წვდომას უზრუნველყოფს მართვის სისტემა.

**მუხლი 5. რეცენზირება**

1. მაკეტის რეცენზირება მოიცავს:

ა) შინაარსობრივ რეცენზირებას, რა დროსაც რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი ახორციელებს მაკეტის (სერიის შემთხვევაში - სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის) შესაბამისობის დადგენასა და შეფასებას „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N768 ბრძანების N1 დანართით დამტკიცებულ შინაარსობრივ კრიტერიუმებსა (შემდეგში - შინაარსობრივი კრიტერიუმები) და ამ წესის N3 დანართით დადგენილ მოთხოვნებთან (შემდეგში - მოთხოვნები) მიმართებით;

ბ) ტექნიკურ რეცენზირებას, რა დროსაც რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი ახორციელებს მაკეტის (სერიის შემთხვევაში - სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის) შესაბამისობის დადგენასა და შეფასებას „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N768 ბრძანების N2 დანართით დამტკიცებულ ტექნიკურ კრიტერიუმებთან (შემდეგში - ტექნიკური კრიტერიუმები) მიმართებით. უცხოურ ენაზე შედგენილი მაკეტის ტექნიკური რეცენზირებისას გამოიყენება ტექნიკური კრიტერიუმების მხოლოდ პირველი, მე-6, 8.2, 8.3, მე-9 და მე-10 მოთხოვნები.

2. რეცენზირების პროცესი მიმდინარეობს გრიფირების წესის, წინამდებარე წესის, რეცენზენტებსა და მართვის სისტემას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებისა და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით მართვის სისტემის მიერ გაცემული ინსტრუქციებისა და დადგენილი ვადების შესაბამისად.
3. რეცენზირებას ახორციელებს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის თითოეული რეცენზენტი ინდივიდუალურად, საკუთარი კომპეტენციის საფუძველზე, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის დანარჩენ წევრებთან კონსულტაციების გარეშე. რეცენზენტი ვალდებულია სამუშაო შეასრულოს მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
4. რეცენზენტი რეცენზირებას ახორციელებს მართვის სისტემის მიერ მიცემული ინსტრუქციებისა და დადგენილი ვადების შესაბამისად, ელექტრონულ სისტემაში თავისი მომხმარებლის (User) და პაროლის გამოყენებით.

**მუხლი 6. შინაარსობრივი რეცენზირება**

1. შინაარსობრივი რეცენზირებისას წარმოებს მაკეტის შესაბამისობის დადგენა შინაარსობრივ კრიტერიუმებთან და მოთხოვნებთან, რა დროსაც ფასდება:

ა) მაკეტის (სერიის შემთხვევაში - სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის) შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლის ენობრივი განათლებისა და კოგნიტური/პიროვნული/ემოციური და ფსიქო-სოციალური განვითარების დონესთან მიმართებაში;

ბ) სერიულად გამოცხადების შემთხვევაში - სერიის (სერიაში შემავალი ყველა მაკეტისათვის ერთად) კონცეპტუალური ერთიანობის ხედვასთან;
გ) მაკეტის (სერიის შემთხვევაში - სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის) შესაბამისობა სახელმძღვანელოს/სერიის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან.
2. რეცენზენტი, ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით (მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ფილოლოგი (ქართული ენის), დარგის მეცნიერი ან სხვა სპეციალისტი), შინაარსობრივი რეცენზირებისას იყენებს ამ წესის N1 და N3 დანართებში განსაზღვრულ შესაბამის კრიტერიუმთა/მოთხოვნათა ნაკრებს.
3. რეცენზენტი ვალდებულია, შინაარსობრივი კრიტერიუმების:
ა) 1.2; 1.3; 1.4 და 1.5 კრიტერიუმში მაკეტს მიანიჭოს 1-5 ქულა, შემდეგი მნიშვნელობით: 1 ქულა - „ვერ აკმაყოფილებს"; 2 ქულა - „ნაწილობრივ აკმაყოფილებს"; 3 ქულა - „საშუალოდ აკმაყოფილებს"; 4 ქულა - „უმეტესად აკმაყოფილებს"; 5 ქულა - „სრულად აკმაყოფილებს";
ბ) 1.1; 2.1; 3.1; 4.1; 5.1; 5.2; 5.3; 5.4; 5.5 და 5.6 კრიტერიუმში განახორციელოს სიტყვიერი შეფასება - „აკმაყოფილებს" ან „არ აკმაყოფილებს". სიტყვიერი შეფასება გამოიყენება აგრეთვე ამ წესის N3 დანართით დადგენილი მოთხოვნების მიმართ.
4. შინაარსობრივი რეცენზირება ჩაითვლება დაძლეულად თუ:
ა) მაკეტმა (სერიის შემთხვევაში - სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტმა) გადალახა კრიტერიუმებისათვის (ცალკე მაკეტისთვის და ცალკე სერიისთვის) დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულების 79%-იანი მინიმალური ზღვარი (ბარიერი);
ბ) მაკეტი სრულად აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს და მოთხოვნებს, რომელთა მიმართ გამოიყნება სიტყვიერი შეფასება;
გ) მაკეტში ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**მუხლი 7. ტექნიკური რეცენზირება**
1. ტექნიკური რეცენზირებისას მაკეტის შესაბამისობა ტექნიკური კრიტერიუმების თითოეულ მოთხოვნასთან გამოიხატება „აკმაყოფილებს" ან „არ აკმაყოფილებს" შეფასებით.
2. ტექნიკური რეცენზირება ჩაითვლება დაძლეულად, თუ:
ა) მაკეტი (სერიის შემთხვევაში - სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტი) სრულად აკმაყოფილებს ტექნიკურ კრიტერიუმებს (მოთხოვნებს).
ბ) თითოეულ მაკეტში (სერიის შემთხვევაში - სერიაში შემავალ თითოეულ მაკეტში) ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**მუხლი 8. შეფასების დასაბუთება/განმარტება**
1. გარდა ქულობრივი და სიტყვიერი შეფასებისა საგნობრივი ჯგუფის თითოეული რეცენზენტი ვალდებულია, შესაბამის გრაფაში დაასაბუთოს/განმარტოს მის მიერ განხორციელებული შეფასება, კერძოდ:
ა) 1-4 ქულის მინიჭების ან „არ აკმაყოფილებს" შეფასების შემთხვევაში, რეცენზენტი ვალდებულია, დასაბუთებაში განმარტოს შეფასების საფუძველი და მოიყვანოს კონკრეტული მაგალითები/ადგილები მაკეტიდან;
ბ) 5 ქულის მინიჭების ან „აკმაყოფილებს" შეფასების შემთხვევაში, რეცენზენტი ვალდებულია, დასაბუთებაში მიუთითოს კონკრეტული ძლიერი მხარეები.
2. იმ შემთხვევაში თუ რეცენზენტმა რეცენზირებისას დაადგინა, რომ ერთ მაკეტში ფიქსირდება ერთგვაროვანი ხასიათისა და კატეგორიის (მაგ. რედაქციული შეცდომები) ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ერთგვაროვანი მაგალითების/ადგილების 5-ზე მეტი შემთხვევა, რეცენზენტი უფლებამოსილია არ ჩამოთვალოს ისინი (5-ზე მეტი) ამომწურავად, თუმცა აღნიშნოს ასეთის განმეორებადობის შესახებ მაკეტის დანარჩენ ნაწილებში.
3. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი ვალდებულია, შეხვედრის ფორმატში განიხილოს საგნობრივი ჯგუფის რეცენზიის დასაბუთება/განმარტება ან/და იმსჯელოს მისი ურთიერთშეჯერებისა და რედაქციულად ჩამოყალიბების საკითხზე.

**მუხლი 9. მაკეტზე რეკომენდაციის/მითითების გაცემა**

1. რეცენზენტი ვალდებულია, კონკრეტული კრიტერიუმის/მოთხოვნის (გარდა N3 დანართის N1 მოთხოვნისა) ფარგლებში, გასცეს რეკომენდაცია (შინაარსობრივი რეცენზირებისას) ან მითითება (ტექნიკური რეცენზირებისას) იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა შემდეგი გარემოებების ერთობლიობა:

ა) რეკომენდაცია/მითითება გამიზნულია მაკეტის შინაარსობრივი ან ტექნიკური გაუმჯობესებისკენ;

ბ) მაკეტი შესაბამის კრიტერიუმში/მოთხოვნაში შეფასებულია, როგორც „არ აკმაყოფილებს" (სიტყვიერი შეფასებისას) ან 3-4 ქულით (ქულობრივი შეფასებისას);

გ) რეკომენდაცია/მითითება შეეხება ისეთ საკითხს ან საკითხებს, რომელთა გათვალისწინება მაკეტში (კონკრეტულ ადგილას, გვერდზე ან გარეკანზე) გამოიწვევს ლოკალურ და შესაბამისი კრიტერიუმით/მოთხოვნით გაზომვად/შემოწმებად შედეგს.

2. ქულობრივი შეფასებისას, თითოეულ კრიტერიუმში საგნობრივი ჯგუფის რეკომენდაცია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ თითოეული რეცენზენტის მიერ ამ კრიტერიუმში განხორციელებულ შეფასებათა საშუალო არითმეტიკული, დამრგვალების გარეშე, შეადგენს 3-დან 5-მდე ქულას.

3. სიტყვიერი შეფასებისას, თითოეულ კრიტერიუმში საგნობრივი ჯგუფის რეკომენდაცია/მითითება გაიცემა შესაბამისი კრიტერიუმის შემფასებელ რეცენზენტთა ხმათა უმრავლესობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შემფასებელ რეცენზენტებს შორის კონკრეტული კრიტერიუმის შეფასებისას არის აზრთა სხვადასხვაობა ან თანაბრად გაიყო აზრები, მაკეტის შესაბამისობისა და რეკომენდაციის/მითითების გაცემის საკითხი წყდება საგნობრივი ჯგუფის წევრთა (რეცენზენტთა) ხმათა უმრავლესობით.

4. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფი ვალდებულია, შეხვედრის ფორმატში განიხილოს საგნობრივი ჯგუფის რეკომენდაციები ან/და იმსჯელოს მათი ურთიერთშეჯერებისა და რედაქციულად ჩამოყალიბების საკითხზე.

5. რეკომენდაცია/მითითება, რომელმაც მოიპოვა საგნობრივი ჯგუფის უმრავლესობის მხარდაჭერა, აისახება საგნობრივი ჯგუფის რეცენზიაში და განმცხადებლისთვის სავალდებულოა გასათვალისწინებლად.

6. განმცხადებლისათვის გაცნობამდე რეკომენდაცია/მითითება (შეფასების გარეშე) ხელმისაწვდომია ამავე რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის დანარჩენი წევრებისათვის, რეცენზენტთა ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვით. საგნობრივი ჯგუფის თითოეული რეცენზენტი ვალდებულია გაეცნოს გამოთქმულ რეკომენდაციებს/მითითებებს და დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მათ.

7. ერთსა და იმავე საკითხზე რეკომენდაცია/მითითება შეიძლება გაიცეს მხოლოდ ერთხელ.

**მუხლი 10. მშობელთა ჩართულობა რეცენზირების პროცესში**

1. საზოგადოებრივი საწყისებიდან გამომდინარე, რეცენზირების პროცესში ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის (შემდეგში - მშობელი) ჩართულობა, რაც გულისხმობს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის (ანონიმური ეგზემპლარი) გაცნობასა და მათზე არგუმენტირებული შენიშვნა/რეკომენდაციების წარდგენას.

2. მშობელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად სკოლა, სურვილის შემთხვევაში, უფლებამოსილია მართვის სისტემას წარუდგინოს სკოლიდან არაუმეტეს ერთი მშობლის კანდიდატურა.

3. სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში, სკოლა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) უთითებს იმ მოსწავლეს, რომლის მშობელსაც წარადგენს იგი და ასახავს წარდგენილი მშობლის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში);
ბ) სახელი და გვარი;
გ) დაბადების თარიღი;
დ) საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერი;
ე) ელექტრონული ფოსტის მისამართი.

4. მართვის სისტემა მშობლისათვის ელექტრონულ სისტემაში ქმნის მომხმარებელს და აქტივაციის ბმულს უგზავნის მშობელს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

5. სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში, მშობელს უფლება აქვს აირჩიოს მისთვის სასურველი საგნის/კლასის სახელმძღვანელოს/სერიის კომპლექტი (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი, ელ. რესურსი მოსწავლის ან მასწავლებლის წიგნისთვის) და შეუდგეს მის განხილვას. მშობელს უფლება აქვს სხვა საგნის/კლასის სახელმძღვანელოს/სერიის კომპლექტი განიხილოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაასრულებს უკვე არჩეულის განხილვას.

6. ყოველი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის არჩევის წინ მშობელი ვალდებულია თანხმობა განაცხადოს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ. კონფიდენციალურობის დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მშობელი გამოეთიშება სახელმძღვანელოს განხილვის პროცესს ან/და მისი შენიშვნა/რეკომენდაციები მხედველობაში არ მიიღება.

7. შენიშვნა/რეკომენდაციის წარდგენისას მშობელმა უნდა აარჩიოს ქვემოთ ჩამოთვლილი თემა/თემები და გააკეთოს შესაბამისი დასაბუთება:
ა) შინაარსობრივი ხარვეზი;
ბ) ენობრივი გაუმართაობა;
გ) სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან შეუსაბამობა;
დ) ტექნიკური ხასიათის ხარვეზი.

8. იმ შემთხვევაში, თუ მშობელს არ ექნება შენიშვნა/რეკომენდაციები, მან აღნიშნულის შესახებ უნდა მიუთითოს ელექტრონულ სისტემაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ჩართულობა რეცენზირების პროცესში არ ჩაითვლება.

9. მშობლის მიერ გაკეთებული შენიშვნა/რეკომენდაციები, ანონიმურობის დაცვით, ავტომატურად გადაეგზავნება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის წევრებს გასაცნობად.

10. საგნობრივი ჯგუფი შეხვედრის ფორმატში განიხილავს მშობელთა მიერ გამოთქმულ შენიშვნა/რეკომენდაციებს, ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას თითოეული წარმოდგენილი შენიშვნა/რეკომენდაცია მისაღებია, არ არის მისაღები თუ ნაწილობრივ მისაღებია და ამ უკანასკნელი ორის შემთხვევაში, მიღებულ გადაწყვეტილებას ასაბუთებს.

11. მშობლის მიერ წარდგენილ შენიშვნა/რეკომენდაციაზე საგნობრივი ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისი დასაბუთებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ეცნობება მშობელს ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

**მუხლი 11. რეცენზირების შედეგების შეჯამება**

1. ელექტრონული სისტემა მაკეტის რეცენზირების შედეგებს ადგენს ავტომატიზებულად:
ა) რეცენზიის იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს ქულობრივი სისტემით შეფასებულ მონაცემებს - N2 დანართში განსაზღვრული ალგორითმის შესაბამისად;
ბ) რეცენზიის იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს სიტყვიერ შეფასებას („აკმაყოფილებს“/„არ აკმაყოფილებს“) - მატრიცულად, თითოეული კრიტერიუმის/მოთხოვნის ჭრილში.

2. იმ კრიტერიუმებთან/მოთხოვნებთან, რომელთა მიმართ გამოიყენება სიტყვიერი შეფასება მაკეტის შესაბამისობის საკითხი წყდება შესაბამისი კრიტერიუმის შემფასებელ რეცენზენტთა ხმათა უმრავლესობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შემფასებელ რეცენზენტებს შორის კონკრეტული კრიტერიუმის შეფასებისას არის აზრთა სხვადასხვაობა ან თანაბრად გაიყო აზრები -საგნობრივი ჯგუფის წევრთა (რეცენზენტთა) ხმათა უმრავლესობით.

3. საგნობრივი ჯგუფი ვალდებულია, ხმათა უმრავლესობით, განსაზღვროს გაცემული რეკომენდაციის/მითითების საფუძველზე, განმცხადებლის მიერ, მაკეტის შესაბამისი კორექტირებისთვის საჭირო ვადა.

**მუხლი 12. რეცენზიის გაცნობა**

1. რეცენზირების დასრულების შემდეგ, მართვის სისტემა უზრუნველყოფს განმცხადებელისთვის საგნობრივი ჯგუფის მიერ შედგენილი რეცენზიის/რეცენზიების გაცნობას.
2. იმ შემთხვევაში, თუ რეცენზიაში გაცემულია რეკომენდაცია/მითითებები, განმცხადებელს რეცენზია ეცნობება ქულობრივი შეფასების გარეშე.
3. რეცენზიების გაცნობა ხორციელდება რეცენზენტთა ვინაობის კონფიდენციალობის დაცვით.
4. განმცხადებლისათვის რეცენზიის გაცნობად ჩაითვლება ელექტრონულ სისტემაში მისი განმცხადებლისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.

**მუხლი 13. მაკეტის კორექტურა და ავთენტურობის (შესატყვისობის) შემოწმება**

1. განმცხადებელი ვალდებულია მაკეტზე რეცენზიის (რეკომენდაციების/მითითებების) გაცნობის შემდეგ, საგნობრივი ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში, განახორციელოს მაკეტის (სერიის შემთხვევაში - სერიაში შემავალი ყველა მაკეტის) შესაბამისი კორექტურა (შინაარსობრივი, ტექნიკური), თუკი აღნიშნულზე პირდაპირ რეკომენდაციას/მითითებას შეიცავს რეცენზია ან მიმართოს მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიას.
2. განმცხადებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მაკეტი რჩება იმავე შეფასებით და გრიფირების შემდეგ ეტაპზე აღარ განიხილება.
3. განმცხადებელი რეკომენდაციის/მითითების შესაბამისად კორექტირებულ მაკეტს ასახავს ელექტორნულ სისტემაში.
4. კორექტირებული მაკეტი ავთენტურობის დასადგენად უბრუნდება რეცენზენტთა შესაბამის საგნობრივ ჯგუფს, რა დროსაც იგი ადგენს განხორციელებული კორექტურის შესატყვისობას მის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან/მითითებასთან.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ავთენტურობის შემოწმებისას, რეკომენდაციის/მითითების გამცემი საგნობრივი ჯგუფი ხელახალი რეცენზირების გზით ადგენს მაკეტის შესაბამისობას შესაბამის კრიტერიუმთან/მოთხოვნასთან, კორექტირებული ნაწილის გათვალისწინებით.
6. იმ შემთხვევაში თუ:

ა) მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ არის რეკომენდაციის/მითითების ავთენტური, საგნობრივი ჯგუფი უთითებს ამის შესახებ და უცვლელად ტოვებს არსებულ შეფასებას;

ბ) მაკეტში განხორციელებული კორექტურა არის რეკომენდაციის/მითითების ავთენტური, საგნობრივი ჯგუფი უთითებს ამის შესახებ და უფლებამოსილია განახორციელოს ხელახალი შეფასება, შესაბამისი დასაბუთების/განმარტების თანხლებით.

7. რეცენზენტს ეკრძალება მაკეტის რეცენზირება სხვა ნაწილში გარდა კორექტირებული ნაწილისა და შესაბამისად - ადრე განხორციელებული შეფასებისაგან განსხვავებულად შეფასება.
8. მაკეტში განხორციელებული კორექტურის ავთენტურობა რეკომენდაციასთან/მითითებასთან სავალდებულოა დადასტურდეს საგნობრივი ჯგუფის ყველა წევრის მიერ. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

**მუხლი 14. რეცენზენტთა ვინაობის გასაჯაროვება**

რეცენზენტის ვინაობა (გვარი, სახელი) საჯაროვდება მაკეტისთვის გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, შესაბამისი განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წესით.

**მუხლი 15. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა**

რეცენზენტთან, საგნობრივ ჯგუფსა და რეცენზირებასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, მართვის სისტემა შეიმუშავებს და იყენებს კოდირების სისტემას.

**საბაზო და საშუალო საფეხურების სასკოლო სახელმძღვანელოს მაკეტის რეცენზენტთა ფუნქციური დატვირთვა**

| 1. სახელმძღვანელოს შეფასება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის კუთხით | | კრიტერიუმს იყენებს | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მასწავლებელი | დარგის მეცნიერი | ფილოლოგი (ქართული ენის) | ფსიქოლოგი | სხვა სპეციალისტი |
| **კრიტერიუმი 1.1 სახელმძღვანელო ორგანიზებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად** | | * | * | | | |
| 1.1.1. | თემები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილ სავალდებულო თემებს/თემატურ ბლოკებს (მასწავლებლის წიგნში მითითებულია, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილ რომელ თემატურ ბლოკს მიემართება კონკრეტული თემა) | | | | | |
| 1.1.2. | მასწავლებლის წიგნში თითოეულ თემას ახლავს მიზნებისა და შინაარსის რუკა, რომელიც აჩვენებს კავშირს თემის საკვანძო შეკითხვებს, თემაში დამუშავებულ ცნებებსა და შეფასების ინდიკატორებს შორის | | | | | |
| 1.1.3. | მასწავლებლის წიგნში თითოეულ თემას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები (გარდა უცხოური ენისა და მათემატიკისა) | | | | | |
| **კრიტერიუმი 1.2. სახელმძღვანელო შეესაბამება სტანდარტის მიზნებსა და შინაარსობრივ მოთხოვნებს (ემსახურება შედეგების მიღწევას და შესაბამისი ცნებების დაუფლებას)** | | * | * | | | |
| 1.2.1. | თემაში მოცემული მასალა (მაგალითები და აქტივობები, დავალებები, ტექსტები, თვალსაჩინოებები და ა.შ.) ხელს უწყობს საკვანძო შეკითხვებზე პასუხების ძიებას, შეფასების ინდიკატორების* მოთხოვნათა დაკმაყოფილებასა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას;<br>**იმ საგნების სტანდარტებში, სადაც შეფასების ინდიკატორები სავალდებულოდ არ არის მოცემული, ავტორის მიერ შემოთავაზებული შეფასების ინდიკატორები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტის შედეგებს.* | | | | | |
| 1.2.2. | მასწავლებლის წიგნი თითოეული თემისთვის შეიცავს ინსტრუქციებს, რომლებიც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით, ავთენტური შეფასების წარმოებასა და შეთავაზებული რესურსების გამოყენებას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დამატებითი საგანსპეციფიკური ინდიკატორი** | | | | | | |
| **ქართ.** | სახელმძღვანელო ხელს უწყობს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარების თანამიმდევრულად განვითარებას | | | | | |
| | ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებების გარდა, სახელმძღვანელოში შეთავაზებულია მაღალი ხარისხის თანამდეროვე ლიტერატურა, რომელიც ასახავს მოსწავლეთათვის ნაცნობ რეალიებს, პრობლემატიკას. | | | | | |
| **კრიტერიუმი 1.3. თითოეული თემა ხელს უწყობს ცოდნის აქტიურ კონსტრუირებას** | | * | * | | | |
| 1.3.1. | თემა მოსწავლეებს სთავაზობს მათი ასაკისათვის შესაბამის კონტექსტებს | | | | | |
| 1.3.2. | თემაში წარმოდგენილი მასალა (აქტივობები, დავალებები, ტექსტები, თვალსაჩინოებები) და საკვანძო შეკითხვები ააქტიურებს მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას | | | | | |
| 1.3.3. | თემაში წარმოდგენილი მასალა (აქტივობები, დავალებები, ტექსტები, თვალსაჩინოებები) და შეკითხვები ხელს უწყობს მოსწავლის ეტაპობრივად მიყვანას ახალ ცოდნამდე (მათ შორის ცნებათა გააზრებამდე, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებამდე) | | | | | |
| 1.3.4. | ყოველი მომდევნო თემა ეფუძნება წინა თემებში დამუშავებულ/შეძენილ ცოდნას, განამტკიცებს და ავითარებს მას. | | | | | |
| **კრიტერიუმი 1.4. სახელმძღვანელო ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას** | | * | * | | | |
| 1.4.1 | თემაში წარმოდგენილი მასალა (აქტივობები, დავალებები, ტექსტები, თვალსაჩინოებები, გრაფიკული მაორგანიზებლები) და საკვანძო შეკითხვები ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, იერარქიზებას და სისტემაში მოყვანას; საკითხებს, მოვლენებს, ცნებებს შორის არსებული კავშირ-დამოკიდებულებების, მიმართებების გააზრებას. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კრიტერიუმი 1.5. თემა ხელს უწყობს ცოდნათა ფუნქციურ გამოყენებას** | | * | * | | | |
| 1.5.1. | შემაჯამებელი დავალებები მოითხოვს თემის ფარგლებში შეძენილ ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში; | | | | | |
| 1.5.2. | სახელმძღვანელოს მეთოდიკური აპარატი (ინსტრუქციები, რჩევები, რუბრიკები, დავალებები, სავარჯიშოები და სხვ.) ხელს უწყობს განმავითარებელი შეფასების წარმოებას; | | | | | |
| 1.5.3. | შეთავაზებულია დავალების შესრულების სხვადასხვა ხერხი და მისი ორგანიზების ფორმები, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება გაიაზროს სწავლის სტრატეგიის სწორად შერჩევის მნიშვნელობა უკეთესი შედეგის მისაღებად. | | | | | |
| **2. სახელმძღვანელოს შინაარსობრივი გამართულობა** | | **მასწავლებელი** | **დარგის მეცნიერი** | **ფილოლოგი (ქართული ენის)** | **ფსიქოლოგი** | **სხვა სპეციალისტი** |
| **კრიტერიუმი 2.1. სახელმძღვანელოს შინაარსი (საგნობრივი/ დარგობრივი შინაარსი) გამართულია და ობიექტური** | | * | * | | | |
| 2.1.1. | შინაარსი (ტექსტი/თვალსაჩინოება) სანდო და ზუსტია, შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს: ტერმინები, ცნებები, ფაქტები, მოვლენები, პროცესები სწორადაა მოწოდებული; | | | | | |
| 2.1.2. | ინფორმაცია ობიექტურია. სახელმძღვანელოს ავტორი არ ახდენს თავისი დამოკიდებულებებით მკითხველზე ზეგავლენას, თავს არ ახვევს სუბიექტურ განწყობებსა და შეხედულებებს. | | | | | |
| **დამატებითი საგანსპეციფიკური ინდიკატორი** | | | | | | |
| **ბიო/გეო** | შინაარსის საჭიროებიდან გამომდინარე, ბიომრავალფეროვნების სწავლებისას, თვალსაჩინოებებზე მოცემულია საქართველოს/ კავკასიის სახეობები და ლანდშაფტები. | | | | | |
| **ბიო/ფიზ/ქიმ** | სახელმძღვანელოში გამოყენებული თვალსაჩინოება, რომელიც ასახავს ექსპერიმენტული/პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების ინსტრუქციებს ან მსვლელობას, ავთენტურია. | | | | | |

| 3. სახელმძღვანელოს სტრუქტურული გამართულობა | | მასწავლებელი | დარგის მეცნიერი | ფილოლოგი (ქართული ენის) | ფსიქოლოგი | სხვა სპეციალისტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კრიტერიუმი 3.1. სახელმძღვანელოს სტრუქტურა ხელს უწყობს შინაარსში ორიენტირებას** | | * | * | | | |
| 3.1.1. | სტრუქტურული ერთეულები (თემა/პარაგრაფი/თავი და ა.შ.) გამოყოფილია გასაგები პირობითი ნიშნებით (ლოგო, შრიფტი და ა.შ.), რომლებიც ხელს უწყობს მასალის შინაარსისა და სტრუქტურის ვიზუალურ წარმოჩენას უკეთ აღქმა-გააზრების მიზნით; | | | | | |
| 3.1.2. | ახლავს გამართული საცნობარო/საძიებო აპარატი (მაგალითად, სარჩევი, საზომი ერთეულების ცხრილი, ლექსიკონი, სქოლიოები და მისთ); მასწავლებლის წიგნში მოცემულია მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი სავარჯიშოების/შეკითხვების პასუხები (საგნის სპეციფიკის შესაბამისად). | | | | | |

| 4. სახელმძღვანელოს ენობრივი გამართულობა | | მასწავლებელი | დარგის მეცნიერი | ფილოლოგი (ქართული ენის) | ფსიქოლოგი | სხვა სპეციალისტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კრიტერიუმი 4.1. სახელმძღვანელოს ენა შეესაბამება ენობრივი განათლების მოთხოვნებს** | | | | * | | |
| 4.1.1. | ტექსტების (მათ შორის, სავარჯიშოებისა და დავალებების პირობების) ენობრივი აგებულება ხელს უწყობს სააზროვნო პროცესების წარმართვას: ტექსტის აზრობრივად შეკრული მონაკვეთები დაყოფილია აბზაცებად; თვალსაჩინოა აბზაცებს/ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული ქრონოლოგიური, მიზეზ-შედეგობრივი და სხვა ლოგიკური კავშირები; | | | | | |
| 4.1.2. | ტექსტებში ზომიერად არის წარმოდგენილი ახალი ცნებები/ტერმინები. სახელმძღვანელოში გამოყენებული დარგობრივი ენა მოსწავლისათვის ადვილად გასაგებია; | | | | | |
| 4.1.3. | დაწერილია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით, არ გვხვდება გრამატიკული შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები, დაცულია ორთოგრაფიის ნორმები და პუნქტუაციის წესები. | | | | | |

| 5. შესაბამისობა სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან | | მასწავლებელი | დარგის მეცნიერი | ფილოლოგი (ქართული ენის) | ფსიქოლოგი | სხვა სპეციალისტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კრიტერიუმი 5.1. თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა** | | | | | * | * |
| 5.1.1. | სახელმძღვანელო თავისუფალია ენის, ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვა ნიშნით სტერეოტიპული, არაკორექტული, დისკრიმინაციული ან/და დისკრედიტაციული ელემენტებისგან; | | | | | |
| 5.1.2. | საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცულია თანასწორობა ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვ. ნიშნით. | | | | | |
| **კრიტერიუმი 5.2. ეთიკის ნორმების დაცვა** | | | | | * | * |
| 5.2.1. | სახელმძღვანელო თავისუფალია უცენზურო და არაკორექტული გამონათქვამებისგან, პირველწყაროს ტექსტში ამგვარი გამონათქვამის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ადგილი მოწოდებულია ადაპტირებული სახით ან კუპიურებით. | | | | | |
| **კრიტერიუმი 5.3. ძალადობისკენ მოწოდების ან შუღლის გაღვივების აკრძალვა** | | | | | * | * |
| 5.3.1. | ილუსტრაციები და შინაარსი თავისუფალია ნებისმიერი სახის ძალადობის, მათ შორის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მიმართ ვანდალური და ზიანის მომტანი ქმედების წამაქეზებელი მოწოდებებისგან; ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივების მაპროვოცირებელი ტექსტებისა და ილუსტრაციებისგან. | | | | | |
| **კრიტერიუმი 5.4. კომერციული რეკლამის აკრძალვა** | | | | | | * |
| 5.4.1. | თავისუფალია რაიმე სახის სოციალური, პოლიტიკური ან/და კომერციული რეკლამისგან, რომელიც არ ემსახურება საგანმანათლებლო მიზნებს. | | | | | |
| **კრიტერიუმი 5.5. შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან** | | | | | | * |
| 5.5.1. | შინაარსი (ტექსტები, თვალსაჩინოება, სავარჯიშოებისა და დავალებების პირობები) არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. | | | | | |
| **კრიტერიუმი 5.6. შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან** | | | | | | * |

| | | |
|---|---|---|
| 5.6.1. | ითვალისწინებს მდგრადი განვითარების პრინციპებს, რაც გულისხმობს დღევანდელობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. | |

**შენიშვნა:**

1. "*" - სიმბოლო აღნიშნავს კრიტერიუმს, რომელსაც იყენებს რეცენზენტი ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით;

2. იმ შემთხვევაში თუ საგნობრივი ჯგუფის შემადგენლობაში არ შედის „სხვა სპეციალისტი“, მისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, გარდა 5.1, 5.2 და 5.3 კრიტერიუმებისა, იყენებს „მასწავლებელი“ და „დარგის მეცნიერი“ მისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებთან ერთად;

3. იმ შემთხვევაში თუ საგნობრივი ჯგუფის შემადგენლობაში არ შედის „ფილოლოგი (ქართული ენის)“, მისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს იყენებს „მასწავლებელი“ და „დარგის მეცნიერი“ მისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებთან ერთად.

# მოთხოვნები სახელმძღვანელოსთვის/სერიისთვის

| N | მოთხოვნა | მოსწავლის წიგნი | მოსწავლის რვეული | მასწავლებლის წიგნი (ელ. რესურსთან ერთად ან მის გარეშე) | აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს | დასაბუთება/განმარტება | რეკომენდაცია | მოთხოვნას იყენებს | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | მასწავლებელი | დარგის მეცნიერი |
| 1 | სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის ანონიმურ ეგზემპლიარში დაცულია ანონიმურობა | • | • | • | | | | • | • |
| 2 | არ შეიცავს (ნებისმიერი ფორმით) მითითებას/მოთხოვნას იმ საგანმანათლებლო რესურსის შესახებ, რომელიც შექმნილია ან მომავალში შეიქმნება გრიფირებისათვის წარმოსადგენი სახელმძღვანელოს მაკეტის კომპლექტს მიღმა და მისი გამოუყენებლობა შექმნის სირთულეებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს დამოუკიდებლად გამოყენებისა და სასწავლო პროცესის წარმართვის საკითხში. | • | • | • | | | | • | • |
| 3 | მოსწავლის წიგნი არ შეიცავს ისეთ სავარჯიშოს, აქტივობას, ტექსტს ან/და კროსვორდს, რომელიც მოითხოვს მასში რაიმეს ჩაწერას, ჩახატვას, ჩახაზვას, ამოჭრას, გაფერადებას ან ჩაწებებას | • | | | | | | • | • |

შენიშვნა: 1. „*" სიმბოლო აღნიშნავს მოთხოვნას, რომელიც გამოიყენება სახელმძღვანელოს მაკეტის შესაბამისი სახის რეცენზირებისას ; 2. „•" სიმბოლო აღნიშნავს კრიტერიუმს, რომელსაც იყენებს რეცენზენტი ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით.

## რეცენზირების შედეგების დაანგარიშების ალგორითმი

**მუხლი 1. საბოლოო ქულის გამოთვლის ეტაპები**

წინამდებარე მეთოდის გამოყენებით წარმოებს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის საბოლოო ქულის გამოთვლა, რომელიც ხორციელდება ორ ეტაპად, თავდაპირველად ინდივიადუალურად, ერთი რეცენზენტის, ხოლო შემდეგ - საგნობრივი ჯგუფის ჭრილში.

**მუხლი 2. კალკულაცია ინდივიდუალური რეცენზენტის ჭრილში.**

1. კრიტერიუმის შეწონილი ქულის გამოანგარიშება - თითოეულ კრიეტრიუმში ერთი კლასის მაკეტისთვის მინიჭებული ქულის (1-5 ქულა) ამ კრიტერიუმის წონაზე გამრავლება;
2. კლასის მაკეტის ქულის გამოანგარიშება - კრიტერიუმების შეწონილი ქულების დაჯამება.

**მუხლი 3. კალკულაცია საგნობრივი ჯგუფის ჭრილში.**

ჯგუფის შეფასება გამოანგარიშება - საგნობრივი ჯგუფის თითოეული რეცენზენტის მიერ გაკეთებული შეფასებათა საშუალო არითმეტიკული.